ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე
არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ,,წმიდა დიაკონი სევერიანეს
სახელობის სკვერი“-ს სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მეორე პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 21.06.31.217) მიენიჭოს სახელწოდება: ,,წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი“.
2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს, როლანდი ბერიძეს, თანმდევი პროცედურების განხორციელება.
3. განკარგულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (კომისიის თავმჯდომარე - ლევან ბერიძე).
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

განმარტებითი ბარათი
ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ,,წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი“-ს სახელის მინიჭების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მეორე პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკრებულოს გადაწყვეტილებით მოხდება „წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი“-ს სახელწოდების მინიჭება.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - სოფელ ზვარეს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების (ქედის მუნიციპალიტეტის მერთან გაგზავნილი) საფუძველზე მამა სევერიანეს ღვაწლის დაფასება საეკლესიო ღვთისმსახურების კუთხით, კერძოდ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი: 21.06.31.217 „წმიდა დიაკონი სევერიანეს სახელობის სკვერი“-ს სახელის მინიჭება და წმიდანის სახელის კიდევ უფრო უკვდავყოფა.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

დიაკონი სევერიანე, (ერისკაცობასი ხასან) ბერიძე, დაიბადა 1920 წლის 15 ივლისს აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ ზესოფელში, ყედირ ბერიძის მუსლიმანურ ოჯახში. დედა, ესმა, გვარად დიასამიძე გახლდათ. სევერიანეს ბაბუა - ხასან (ასლან) ბერიძე მოლა იყო, შესაბამისად , ოჯახში დღე ლოცვით იწყებოდა და ლოცვით სრულდებოდა. მათი ოჯახი სოფ.ზესოფელში ყველასგან გამრჯეობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

იგი ადრეულ ასაკში დაობლდა. დახმარება სჭირდებოდა უმამოდ დარჩენილ ოჯახს და როგორც უფროს შვილს, უმცროს და-ძმებზე ზრუნვა დაეკისრა. სულ ხუთნი იყვნენ: მამა სევერიანე (ხასანი) ასიმე, დომენტი, შორეთი , სქეარქიმანდრიტი სისო, (ერისკაცობაში ჯემალი)

მისი ცხოვრების თანამგზავრი გადხა სოფელ ძენწმანში, ახმედ ბერიძისა და მერიემ ქაჯაიას მრავალშვილიან ოჯახში, 1921 წლის 23 აპრილს დაბადებული გულისერ ბერიძე. შეეძინათ შვილები: გუგული, ნანული, ლილი, თინა, ნიგარი, დარიკო, ერთი შვილი ადრეულ ასაკში გარდაეცვალათ. ოჯახი საცხოვრებლად ქობულეთის რაიონში (1949-1950 წწ), სოფელ ბუკნარში გადავიდა.

სევერიანე ბერიძის ცხოვრებაში განსაკუთრებული სულიერი გარდატეხა 1960 წლიდან დაიწყო. ამ დროს თავადაც დიდი სიხარულით და ბედნიერებით იხსენებდა. ბათუმში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძართან მიმავალს ორი ახალგაზრდა შემოხვდა, ისინი უსიტყვოდ მიუახლოვდნენ მას, ამოუდგნენ მხრებში და შეიყვანეს წმინდა ნიკოლოზის ტაძარში, სადაც იმ მომენტში ღვთისმსახურება მიმდინარეობდა. ღვთისმსახურებას აღასრულებდა მღვდელმსახური ილია (ამჯამად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი ილია II). სრულიად მოულოდნელად კაცი, რომელიც აქტიური აღმსარებელი იყო ისლამისა, აღიარებს ქრისტეს ეშმარიტ ღმერთად და გამოთქვამს სურვილს ნათლისღებისას, ამ დროს მის გვერდით მდგომი ორი ახალგაზრდა გაუჩინარდა, როცა ძებნა დაიწყო ისინი ვერ იპოვა და იქ მყოფთ ჰკითხა, მასთან მყოფი ახალგაზრდები ხომ არ შეუნიშნავთ, პასუხი მიიღო, რომ მასთან ერთად არავინ შესულა ტაძარში. იმ დღეს სევერიანე ბერიძე ეზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დღედან დაიწყო სევერიან ბერიძის სრულიად განსხვავებული და გამორჩეული ცხოვრება ,რომელიც გამოვლინდა მის მისიონერულ და მოციქულებრივ მოღვაწეობაში. ის კარდაკარ დადიოდა და მიუხედავად იმ დროინდელი ტოტალიტარული უღმერთო რეჟიმისა, უშიშრად და ღიად ქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ აჭარა იმ დროისთვის განიცდიდა ორ ძირითად მტკივნეულ დაღს. ერთის მხრივ, ისლამურ გავლენას, რასაც ემატება კომუნისტურ-ათეისტური იდეოლოგია. ამ გარემოში უხდება მას თავისი მქადაგებლური მოღვაწეობა, არ იღლებოდა, სიხარულით აკეთებდა ამ საქმეს. მამა სევერიანესთვის ქადაგების არეალი არ იყო შემოსაზღვრული, იგი ყოველთვის სარგებლობდა არსებული მდგომარეობით და ქადაგებდა ყველგან : ბაზარში, ავტობუსში, მატარებელში , გზასა და სამსახურში.

დიაკონმა სევერიანემ 1960 წლიდან 1996 წლამდე, 35 წლის განმავლობაში, მოილოცა საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, იცნობდნენ რუსეთში სასულიერო პირები და მრევლი, ქადაგებდა ქრისტეს და ეს იყო მისი ცხოვრების წესი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის აჭარაში ათასობით ადამიანის გაქრისტიანებაში. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სევერიანე არა მხოლოდ აჭარაში , არამედ ყველგან , სადაც კი ხელი მიუწვდებოდა დაუღალავად ქადაგებდა, ყველას რწმენისკენ მოუწოდებდა. მას შეეძლო დაერწმუნებინა ადამიანი ჭეშმარიტებაში. ხშირად იღებდა ადამიანებისგან შეურაცხყოფას, იტანდა რთულ დამოკიდებულებას სანათესაოსგან, მეზობლებისგან, მეგობრებისგან! რამდენჯერ გაუძლია მის ოჯახს წნეხისთვის,

ოჯახში სადაც ათასობით სანთელი მზადდებოდა რომლებიც შემდეგ ეკლესია - მონასტრებში სრულიად უსასყიდლოდ არიგებდა თავისი ხელით.

მის ოჯახში იკრიბებოდნენ სასულიერო პირები . 1991 წელს, 7 იანვარს სევერიანეს ოჯახში თავი მოიყარეს შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა. ამ დღეს აქ დიდი ზეიმი იყო. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ბათუმიდან ეკლესიის წარმომადგებნლებმა გადმოასვენეს ხატი ,,აჭარის მფარველი“ იგი ილია II -მ უსასხსოვრა აჭარას და სევერიანეს ოჯახს.

სევერიანე ბერიძე არც საქველმოქმედო საქმეს ივიწყებდა, პირველი რაც მან ქრისტანულად აღასრულა, იყო მადლიერების გამოხატვა მისი სულის მეოხეთა მიმართ. სევერიანეს მონდომებით ჩაქვში აშენდა ეკლესია, უკეთ რომ ითქვას, ერთი მტკიცედ ნაშენი შენობა, ღვთის შეწევნითა და მისი დახმარებით ეკლესიად გადაკეთდა. საგულისხმოა, რომ ჩაქვის ტაძრის კურთხევა თავდაპირველად პეტრე და პავლე მოციქულების სახელზე იყო დაგეგმილი, თუმცა აღმოჩნდა რომ მათი სახელობის ტაძარი ეპარქიაში უკვე არსებობდა და საბოლოოდ მთავარანგელოზების სახელზე იკურთხა, რომელმაც მოიყვანა მამა სევერიანე მართლმადიდებლობის წიაღში.

1995 წლის 26 ივლისს, მთავარანგელოზთა კრების დღეს, დაბა ჩაქვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი ეკლესია, რომელსაც მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელი ეწოდა.

სევერიანე ბერიძე დიაკვნად სწორედ ამ დროს, 1995 წელს მეუფე იუბის ლოცვა-კურთხევით დაადგინეს. დიაკონი სევერიანე პირველი აჭარელი მართლმადიდებელი სასულიერო პირი იყო 300-წლიანი თურქთა ბატონობის შემდეგ. იმდენად დიდი იყო სიხარული და სურვილი იმისა, რომ ის სასულიერო პირი გამხდარიყო, მუდამ მომღიმარი სახით ხვდებოდა თითოეულ ადამიანს და კიდევ უფრო ძლიერდებოდა რწმენაში.

სევერიანე ბერიძე 1996 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა. მის დაკრძალვას უამრავი ადამიანი , მათ შორის სასულიერო პირები დაესწრო. სევერიანე ბერიძე აჭრაში, ჩაქვის რაიონის სოფელ ბუკნარში დაკრძალეს.

2014 წლის მარტში მამა სევერიანე და მისი მეუღლე გულისერი ბათუმისა და ლაზათის მიტროპოლიტ მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით გადმოასვენეს ფერიის ყოველთა ქართველთა წმინდატთა დედათა მონასტრის ეზოში.

აღსანიშნავია, მამა სევერიანეს ღვაწლი ეკლესიისა და ერის წინაშე რისი დასტურიც არის სანათესაო წრის მოქცევა ქრისტეს სარწმუნოებაზე. ძმა - სქემარქიმანდრიტი სისო, ძმისშვილი- დეკანოზი ბასილი და შვილთაშვილი- დიაკონი ილია ვარშანიძე. სევერიანე ბერიძე ჩაქვში სასულიერო მოღვაწეობის პარალელურად, ცდილობდა

ქედის მუნიციპალიტეტში ქრისტიანობის გავრცელებისთვის საფუძველი ჩაეყარა. მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა შეძლო სოფელ ზესოფელში ყველა ოჯახში ექადაგა ქრისტიანობა. მან პირველმა მოახერხა მოსახლეობაში წინააღდეგობის დაძლევა და ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულება.

სევერიან ბერიძის მოღვაწეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია და წლების შემდეგ არამარტო სოფელ ზესოფელში, არამედ ზემო აჭარაში ქრისტიანობის გავრცელება მოჰყვა, რასაც ადასტურებს სოფელ ზესოფელში და სოფელ ზვარეში ამჟამად მოქმედი ეკლესიები.

წმიდა სინოდმა 2018 წლის 21 ივნისს დიაკონი სევერიანე (ერისკაცობაში ხასან ბერიძე) წმიდანად შერაცხა.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: ამირან წულუკიძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: ამირან წულუკიძე.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022932828 - 12/12/2022 10:03:19

მომზადების თარიღი
16/12/2022 11:50:34

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქედა	ზვარე		
21	**06**	**31**	**217**

მისამართი: მუნიციპალიტეტი ქედა , სოფელი ზვარე

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 425.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **21.06.31.210; 21.06.31.002;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01 - 4.4 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022932828 , თარიღი 12/12/2022 10:03:19
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/12/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-4535 , დამოწმების თარიღი:12/08/2022 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- მომართვა N57/01-12 , დამოწმების თარიღი:14/02/2011 , ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- მომართვა N94-9422070130 , დამოწმების თარიღი:11/03/2022 , ქედის მუნიციპალიტეტის მერია
- ბრძანება N1-1/1145 , დამოწმების თარიღი:23/07/2007 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- განკარგულება N388 , დამოწმების თარიღი:27/07/2007 , საქართველოს მთავრობა

მესაკუთრეები:
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:246762061

მესაკუთრე:
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქედის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ როლანდი ბერიძეს

სოფელ ~~ზეკარის ცენტრი~~ მცხოვრებთა

ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ზეკარის ცენტრში ტურისტიკისა და ეკოლოგიის მიერ ჯეოლოგიურად ზეკარის ნაწილი, ჩამოქცეულია ტურისტიკის სახელზე. ადგილზე ზეკარ-მაღლარის ნაწილს ის ტყე ეჭირა სახელი.
ზეკარის თემის მოსახლეობის ინიციატივა, ზეკარის ცენტრში განთავსებული ნაწილის ტერიტორიის ფარგლებში სკვერის სახელი, ჩვენგან ცხრიანი ზეკარის თემის სოფელ ზემოდგურში ცხოვრები, ერთვენი ბოლის გენერალურში მოეწყობოდა ადგილზე და მის სახელთან ასოციირებული ამბავი ტყეების გაჩეხვისა. 2018 წელს ფიფინ სკვერი ბერიე „ბათუმისა და ბერეთის" ინფორმაციული ფიქრების ფესტივალებული ფრონტის სიფიტაზე, 2018 წლის 21 ივნისს ფიგურები სიფიტაზე ეკიდენია: ფიფინ სკვერიანე ფერიანების ფიქრებთან ერთად და ეწოდა ფიქრი ფიფინ სკვერიანე.

პირადი №	განმცხადებლები: (სახელი გვარი)	ხელმოწერა	ტელეფონის ნომერი
61008001622	1 [illegible]		1 593257888
61008002658	2 [illegible]		2 599280143
61008004685	3 ზაიერ ჯანგირ		3 593050597
61008004769	4 ილია ჯანგირ		4 558559587
61008004437	5 [illegible]		557.98-66.51
61001074026	6 [illegible]		591-44-50-15
61008010102	7 [illegible]		557702255

თარიღი: ____ ____ 2022წ

პირადი №		განმცხადებლები: (სახელი გვარი)	ხელწერა	ტელ:
61008015937	8	ირინა ბერიძე	ი. ბერიძე	1 555363733
61008007979	9	ლაშა ბერიძე	ლ. ბერიძე	2 599554796
61008019351	10	გიორგი თავაკელიანი	გ. თავაკელიანი	577-324-875
61008016795	11	ანრი ანჯაფარიძე	ა. ანჯაფარიძე	593477238
61009000082	12	ბაური გოგიჩაიძე	ბ. გოგიჩაიძე	599127836
	13			
	14			
	15			
	16			
	17			
	18			
	19			
	20			
	21			
	22			
	23			
	24			
	25			
	26			
	27			
	28			
	29			
	30			
	31			
	32			
	33			

როგორ მოინათლა მუსლიმანი ჰასან ბერიძე სასწაულებრივად პატრიარქის ხელით და რა სასწაულები მოხდა მის წმიდანად შერაცხვამდე 3 დღით ადრე

09/07/2018 13:41

ქეთი კაპანაძე



მამა სევერიანე (ჰასან ბერიძე) მაჰმადიანი სასულიერო პირის ოჯახში დაიბადა. უკვე ზრდასრულ ასაკში, მის ცხოვრებაში მომხდარი სასწაულის წყალობით, ქრისტიანად მოინათლა და მთელი დარჩენილი ცხოვრება სამაგალითოდ ცხოვრობდა. მიუხედავად კომუნისტების მხრიდან შევიწროებისა, ყოველთვის ახერხებდა საკუთარი მრწამსის დაცვას და მისი დამსახურებით უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტიანად.

დალი-შორენა ბერიძე-კიკავა (მამა სევერიანეს ძმისშვილი): მამა სევერიანე 1920 წლის 13 ივლისს დაიბადა აჭარაში, სოფელ ზესოფელში, მუსლიმანურ ოჯახში. მის მამას, ყედირ ბერიძეს უმაღლესი მაჰმადიანური სკოლა ჰქონდა დამთავრებული სტამბოლში და მაჰმადიანი სასულიერო პირი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. თუმცა, შვილების გადმოცემით, მის მენტალიტეტში იმდენად ღრმა იყო ქართული გენეტიკური ტრადიციები, რომ აჭარის გასაბჭოებისთანავე ყველაფერი ქართული მან პირველმა დააბრუნა ოჯახში: შეიტანა ღვინო, მეუღლეს ჩადრის გახდა სთხოვა და ყველა აკრძალულ ქართულ ზნე-ჩვეულებას იცავდა. მას მამა სევერიანეს გარდა, ორი ვაჟი ჰყავდა. დღეს სქემარქიმანდრიტი სისოი (მამა სერაფიმე), რომელიც 2014 წელს ბერად აღიკვეცა ყინწვისის მონასტერში და დომენტი, რომელიც აღესრულა ქრისტიანობაში და რომელიც დასაფლავებულია სოფელ ზესოფელში ცალკე, ახალ სასაფლაზე. ის იყო პირველი ქრისტიანი, რომელიც იქ დაიკრძალა და მისი სიკვდილის შემდგომ იქ ქრისტიანთა სასაფლაო გაჩნდა. დასაფლავების ღამეს საფლავზე დაეშვა ჯვრის ფორმის ნათება და შუქი იმდენად ძლიერი იყო, ვინც არ იცოდა, რომ ახლად გაჭრილ საფლავზე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, ელექტროობა არ იყო, ეგონათ, შუქი გაიყვანესო.

მახსოვს, მეათე კლასში ვიყავი, მამა სევერიანემ გვერდით დამისვა და დამარიგა: „არასოდეს შეგეშინდეს, უფალი იქნება ყოველთვის შენთან და ნურასოდეს დაგაბრკოლებს იმაზე ფიქრი, თუ სხვები რას იფიქრებენ შენზე. ჩემს ცხოვრებაზე იცი შენ ყველაფერიო? როგორ დამცინოდნენ, როგორ მაშინებდნენ, ბაზრის კიბეებზე დავდგებოდი, იქ, სადაც ბევრი ხალხი იყო, სპეციალურად ხალხმრავალ ადგილებს ვეძებდი და ვყვიროდი: მოინათლეთ, ხალხო, მოინათლეთ, სანამ გვიანი არ არის. ვუი! ვუი! ხასანი გაგიჟებულაო – გაჰკიოდა ხალხი. უშიშროება ცალკე დამდევდა, მავიწროებდა და მემუქრებოდა. რამდენჯერ ღამე, ლოცვის დროს, სანთლის შუქი რომ არ დაენახათ მეზობლებს, სქელ ფარდებს ჩამოვკიდებდი ფანჯრებზე, მაგრამ მერე ისევ, საჯაროდ დავიწყებდი ქადაგებას. შენ ჯერ კიდევ დაბადებული არ იყავი, ბათუმში,

ტელმანის ქუჩაზე წმიდა ნიკოლოზის ტაძართან უცხო 2 ბრგე ვაჟკაცი ამომიდგა მხრებში და ტაძარში შემიყვანეს, ფეხებს ძირს ვერ ვდგამდი და თითქმის შემასრიალეს, არაადამიანური შიში ვიგრძენი და გაოგნებული ვყვიროდი. დამსვით, სად მიგყავართ-მეთქი... ისეთი ბრძანებით მითხრეს: ხასან, შენ უნდა მოინათლოო. უძლურად გავკივლე – ტაძარში მომნათლეთ-მეთქი, მღვდელი ამბიონიდან გამოვიდა და შემხედა, ნათლია სად გყავსო, ოღონდ თავი დამეღწია და ვუპასუხე: აი, ეს ბიჭი მომნათლავს-მეთქი – ერთ-ერთზე მივუთითე. გაკვირვებულმა შემომხედა მოძღვარმა და მესანთლეს უთხრა, რა სჭირს ამას, აქ სხვა კაცს ვის ხედავსო, შემდეგ ისევ მესანთლეს მიუბრუნდა: იქნებ შენ დაუდგე ნათლიადო. ასე, სასწაულებრივად მოვინათლეო. ნათლობაზე წმიდა გიორგის ხატი მაჩუქა ნათლიამ. ხატი ხელში დავიჭირე და დაბნეული ჩაქვში წავედი. სახლში შევედი, გულესერი შემომეგება და მკითხა, ხელში რა გაქვსო, მე გონს მოვეგე, უხერხულად შევიშმუშნე – არ მინდოდა, ცოლს გაეგო, რომ გაუგებარ ვითარებაში მოვინათლე, ჩვენ ხომ ვმუსლიმანობდით და ღია ფანჯრიდან ხატი მოვისროლე, შემინდოს მისმა მადლმა. ამის შემდგომ შევეცადე დამევიწყებინა, რაც გადამხდა. ამასობაში 6 წვრილშვილიან მამას მარჩენალი ძროხა დამეკარგა. ორი დღე ვეძებეთ მე და გულესერმა, ვერსად მივაგენით. მესამე დღეც გათენდა და ჭიშკარს მეზობელი მოადგა, ფანჯრიდან გავიხედე და ამ კაცს ბაწრით ჩემი ძროხა ჰყავდა თან. მეუღლე გაეგება, მე ოთახში დავრჩი და ფანჯრიდან ვუსმენდი მათ საუბარს. „გულესერ, მაპატიეთ, მაპატიეთ, ეს რა მომივიდა, ძროხა მე მოვიპარე, განა აქ მოსვლას გავბედავდი? მაგრამ ორი ღამეა, ჩემთან თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი მოდის, მკერდზე შუბს მაჭერს და მეუბნება, ძროხა პატრონს წაუყვანე და მოუბოდიშეო“... ეს თქვა და დაუჩოქა... უცებ თითქოს სხივი შემოიჭრა ჩემს გონებაში, გამახსენდა ხატი, რომელზეც თეთრ ცხენზე ამხედრებული შუბიანი მხედარი იყო აღბეჭდილი, ქურდი სულ გადამავიწყდა. ჩავვარდი ბაღჩაში, ხატი მოვძებნე, ჩქარ-ჩქარა გავწმინდე და სახლში შემოვიტანე, კედელზე საპატიო ადგილას ჩამოვკიდე, დაბრუნებულ გულესერს ყველაფერი მოვუყევი. იმ დღიდან შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. ტაძარში სიარული დავიწყე. თავიდან, სანამ გავერკვეოდი ყველა ხატი ჩვეულებრივი ადამიანების სურათები მეგონა, სხვადასხვა დამსახურების გამო აღბეჭდილი. როცა წმიდა ნიკოლოზის ტაძარს ვეწვიე და მთავარანგელოზების ხატთან სანთლის დასანთებად მივედი, ისევ ის ბრგე ვაჟკაცები დავინახე, მეცნო და მედავითნეებს დავუძახე, ბიჭებო, შეხედეთ, შეხედეთ, ეს ის კაცებია, მე რომ ტაძარში შემომიყვანეს-მეთქი, მათ გაეცინათ – ესენი კაცები კი არა მთავარანგელოზები არიანო. მოძღვარს დაუძახეს და მე თან დაზაფრული, თან ბედნიერი ვუყვებოდი ამ ამბავს, ის მოძღვარი დღეს პატრიარქია.“ მას პატრიარქთან სიცოცხლის ბოლომდე ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მამაო სულ ეკლესია-მონასტრებში იყო და დღედაღამ ლოცულობდა, მიუხედავად სასულიერო პირად აღკვეცის არაერთგზის შეთავაზებისა, დიაკვნად მხოლოდ გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე აღიკვეცა. გარდაცვალების წინ, როცა სულს უფალს აძლევდა, მისი ქალიშვილი თინა ეჯდა თავთან. შვილო, ეს რა ხდება, რამდენი არიან, რამდენი არიან, 10, 20, არა 100... არა მეტიც იქნება, მთელი ლეგიონია, რამდენი ბოროტი აკრავს დედამიწასო – აღმოხდა, ილოცეთ, ილოცეთო. მამაო 1996 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა. ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის ინიციატივა იყო, რომ სევერიანე სოფელ ბუკნარში, მისივე აშენებულ მთავარანგელოზების ტაძარში დაეკრძალათ, მაგრამ ტაძრის გვერდით მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი წინააღმდეგი წავიდა. მათი აზრით, ტაძრის ეზოდან გამომავალი წყაროს წყალი, რომლითაც სარგებლობდნენ, სასაფლაოს გამო წაიბილწებოდა. ამიტომ ცხედარი საერთო სასაფლაოზე დაკრძალეს. დაკრძალვიდან 40 დღის განმავლობაში წყარო დაშრა, არხში წვეთი წყალი აღარ იყო. აღნიშნულმა ფაქტმა იმდენად იმოქმედა ამ ადამინებზე, რომ სასწრაფოდ მოექცნენ ქრისტეს რჯულზე...

ჰასანი კომუნისტების რეჟიმის დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მაგრამ როგორც კი აღმსარებელი გახდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. მერე ჩაქვში გადავიდა ბუღალტრად.

არცერთი ეკლესია არ დაუტოვებია მოულოცავი. ჩუმად იპარებოდა ხოლმე კოლმეურნეობიდან და მთელი საქართველო შემოიარა. ამის გამო ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები. მაგრამ ძალიან მშრომელი ადამიანი იყო, საკუთარი ლიმონის პლანტაციები ჰქონდა და ოჯახს მატერიალურად თავისი შრომით უზრუნველყოფდა. ბევრ ადამიანს ნათლავდა ჩუმად. სალოცავად ხშირად ქუთაისში დადიოდა და ძალიან ბევრი იქ მიჰყავდა მოსანათლად. რადგან აქ უფრო მეტი საფრთხე იყო. მის ოჯახს ბევრი არასასიამოვნო კომენტარის ატანა უწევდა. შვილები ქუჩაში რომ გაივლიდნენ, ესმოდათ: ეს რა გააკეთა ჰასანმაო. შეშინებული იყვნენ შვილები, რადგან მათი მამა ბოროტს ხედავდა, შვილებს უყვებოდა, უბნებოდა, ძალიან ბევრნი არიან და მებრძვიანო. ერთი შვილი იხსენებდა, რომ თავიდან ეგონა, მამა გაუგიჟდა. მის სახლში ყოველთვის ენთო სანთელი. ოჯახისთვის საჭირო საყიდლების სიაში პირველი კილოგრამობით სანთელი ეწერა და პური მის შემდეგ მოდიოდა.

„სანთლებს დედაჩემი აკეთებდა. ბევრი ვიყავით – ექვსი დედმამიშვილი და ღამეში ორმოცდაათი სანთელი მაინც გვჭირდებოდა. ამას დიდი თანხა უნდოდა. მაშინ პატარა ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, ვუთხარი: მამა, ავეჯი არ გვაქვს და ის შევიძინოთ, რა ამბავია სანთელში ამდენი ფულის გადაყრა-მეთქი, – ღმერთმა მაპატიოს. წამიყვანა და ჩემთან ერთად იყიდა თაფლის სანთელი მთელი ერთი წლის, ათი ტონა მანდარინის საფასურით ტონობით იყო, ოთხი გზა დამჭირდა, მანქანით რომ სახლში მომეტანა. ტახტებში ჩაალაგა და გვითხრა, ჩემი სიმდიდრე სანთელია. თქვენ დღეს მარადიულ სიცოცხლეზე არ ფიქრობთ და მე მდიდარი ვარ, რომ შემიძლია ისე გაგზარდოთ, რომ მარტო დღევანდელი ცხოვრებით კი არ იცოცხლოთ, მარადიულზე იფიქროთო“ – ყვება მისი შვილი.

– მამათქვენი, მამა სისოი იხსენებს: ადრე, მღვდლის დანახვაზე გზიდან გადავდიოდი და მიუხედავად იმისა, რომ მამაო მარხვის დაცვას მთხოვდა, მასთან ერთად სუფრაზე განზრახ ვჭამდი არასამარხვო კერძებსო, თუმცა შემდეგ რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება.

დალი-შორენა ბერიძე-კიკავა: თანდათან ძმის ლოცვამ და საუბარმა გაჭრა და მამაჩემიც აღმსარებელი გახდა ოთხმოცდაათიან წლებში. მამა გურამმა და მეუფე იობმა შესთავაზეს სასულიერო პირად აღკვეცილიყო. მამა 50 წელს იყო გადაცილებული, იმ ასაკში მისთვის უკვე რთული იყო ბევრი წესის აღსრულება და თავიდან შორს დაიჭირა თავი. იმ პერიოდში შუქი არ იყო ქვეყანაში. ერთ დღეს დიდი ჭექა-ქუხილი იყო. მეხმა ეზოში ხე მოტეხა და ნაფოტები მიმოიფანტა გარშემო. ეზოში რაღაცა გაბრწყინდა და მამამ თქვა, მგონი ხეს წაეკიდა ცეცხლიო და გარეთ გავიდა. გავიდა და ნახა, რომ ნაფოტზე ფოსფორით ღვთისმშობლის ხატი იყო გამოსახულიყო. მამამ ეს ნიშნად მიიღო და სასულიერო პირობას დათანხმდა. ღვთის ნებით, აჭარაში ძალიან ბევრი ეკლესია აშენდა მისი თაოსნობით და ბევრსაც რესტავრაცია გაუკეთდა. მამა სევერიანეს როლი ხომ შეუფასებელია, მაგრამ არანაკლებია, მამა სისოისიც. სასულიერო გზა აირჩია ჩემმა ძმამაც – მამა ბასილმაც, რომელიც ახალშენის მოძღვარია და ბათუმის სემინარიის რექტორი.

– როგორც ვიცი, მამა სევერიანეს წმინდანად შერაცხვამდე სამი დღით ადრე მისი ფოტოდან მირონდენა დაიწყო.

– რამდენიმე დღის წინ, მიიღო სინოდმა მამა სევერიანეს წმიდანად შერაცხვის გადაწყვეტილება. მანამდე სამი დღით ადრე დაუწყია მირონს დენა მისი ფოტოდან, მაგრამ მამას ხმა არ ამოუღია შიშით, აკვირდებოდა, რა მოხდებოდა. მესამე დღეს მამა ბასილმა დაურეკა: გილოცავ, შენი ძმა წმიდანად შერაცხესო.

წმიდა დიაკონი სევერიანე, აჭარელი აღმსარებელი (ბერიძე;) 1920-96წწ 9 (22) აგვისტო დაბ. სოფ.ბუკნარი (ჩაქვი) ქობულეთი აჭარა

ახალკანონიზირებული წმიდა დიაკონი სევერიანე, აჭარელი აღმსარებელი (ბერიძე; +1996) 9ძვ.სტ. 22ახ. სტ. აგვისტო



სევერიენ ბიძია ლოცვით, სანთელით ანთებული შემოივლიდა სახლის ყველა ოთახს და ნაკურთხ წყალს გვასხურებდა

წმინდა სინოდის სხდომამ წმინდანად შერაცხა დიაკონი სევერიანე (ბერიძე), რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა აჭარაში და ასობით მუსლიმი გააქრისტიანა. სასიხარულოა, ის, რომ წმიდა სევერიანეს ხორციელი ძმა ამჟამად ყინწვისის მამათა მონასტერში მოღვაწე სქემარქიმანდრიტი სისოა (ბერიძე) , ხოლო წმიდა სევერიანეს ძმისშვილი, ბათუმის სასულიერო სემინარიის რექტორია, დეკანოზი ბასილ ბერიძე. დიაკვანი სევერიანე შეირაცხა წმინდანთა დასში და ეწოდა- წმიდა დიაკონი სევერიანე, – აჭარელი აღმსარებელი. მისი ხსენების დღედ დადგინდა გარდაცვალების დღე, – 9 (22) აგვისტო.

- როცა ბიძაჩემზე - მამა სევერიანზე (ხასან ბერიძე-1920 13.07- 1996 22.08.) ვფიქრობ, მახსენდება სითბოთი და ინტერესით გაჯერებული ბავშვობა, ეს ის წლეებია როცა ვხედავდი და ვითვისებდი როგორი უნდა იყოს მოყვარული, მზრუნველი და ერთგული ადამიანი, დაახლოებით 9 -10 წლიდან მეხსიერებაში მყარად გამიჯდა ხსოვნა ბიძაზე და მის ოჯახზე, უსაყვარლეს და უსათნოეს გულესერ ბიცოლაზე და მათ ექვს ქალიშვილზე,-მიამბობს ქალბატონი დალი-შორენა ბერიძე-ქიქავისა.

მე ხშირი სტუმარი ვიყავი ბიძაჩემის ოჯახში - ჩაქვის რაიონის სოფელ ბუკნარში. მათი სათნოება იმაშიც ჩანდა, რომ სახლში მუდმივად უამრავი სტუმარი ჰყავდათ. მრავალშვილიან ოჯახში სუფრასთან თხუთმეტ სულზე ნაკლები არასოდეს იჯდა. ყოველ დილით მაღვიძებდა ნაკურთხი წყლის სახეზე შემოპკურება, როგორც კი გათენდებოდა ბიძაჩემი იწყებდა დილის ლოცვებს. სევერიენ ბიძია ლოცვით, სანთელით ანთებული შემოივლიდა სახლის ყველა ოთახს და ნაკურთხ წყალს გვასხურებდა. ნაკურთხი წყლით ნამავდა მთელ საკარმიდამოს... ამის შემდეგ ბიცოლა საუზმის სამზადის შეუდგებოდა. გასაოცარი იყო ამ ქალბატონის სიყვარული მეუღლისა და სტუმრების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ასე მრავლად ვიყავით სტუმრები (მაზლები, მაზლიშვილები, რძლები, სიძეები, შვილიშვილები, ბიძიასა და საკუთარი ქალიშვილების მეგობრები) ყოველთვის ახსოვდა ვის რა გვიყვარდა და გვიმზადებდა სიხარულით. ბიძაჩემი მარხვას განუხრელად იცავდა და მკაცრად იცავდა, რათა მის ოჯახში სამარხვო სუფრის მენიუ ყოფილიყო მარხვაში. მე არასოდეს მახსენდება მოსვენებული ბიძია, ყოველთვის შრომობდა ხალისით და ენერგიულად. დღევანდელ პირობებშიც კი, როცა ფართო და მრავალმხრივი არჩევანია მგზავრობისათვის, მარტივი არ არის ბათუმიდან თბილისში, ქუთაისსა თუ ლენტეხში ხშირი მგზავრობა. სევერიანე კი ყოველ საუფლო დღესასწაულზე საქართველოს ყველა რეგიონში მოილოცავთა ეკლესია-მონასტრებს. სვეტიცხოველობას მცხეთაში იყო, გაათენებდა ღამეს ლოცვაში, იქიდან პირდაპირ წავიდოდა მოწამეთაში ღამისთევით წმინდა დავით კონსტანტინის დღესასწაულზე დასასწრებათ და ასე შემდეგ... არ გამოაკლდებოდა არცერთ სალოცავს... თითქმის ყველა მონასტერში ჩადიოდა, ყველგან შრომობდა, დედათა მონასტრებში დედაობს ზამთრის შეშის დამზადებაში ეხმარებოდა და ღამეებს გარეთ ათევდა...ყველგან იცნობდენ ბერმონაზვნები...

ეს იყო ადამიანი, რომელიც ათავსებდა ლოცვას, მარხვას, შრომას, ხალხთან ურთიერთობას თუ მეზობლებთან კავშირს ერთიანი ხალისით, ენერგიით. საუბრისას სიყვარულით უბრწყინავდა თვალები, მისი სახის მიმიკები სითბოს აფრქვევდა.... მაგრამ გაწყრომაც შეეძლო, ვერ ეგუებოდა ეგოიზმს, სიზარმაცეს, უსამართლობას და დატუქსავდა ნებისმიერს, შინაურს თუ გარეულს, პირდაპირი იყო და ურყევი, მის საყვედურშიც სიყვარული იკითხებოდა, ყველა გრძნობდა, რომ ამას სათნოებით და ზრუნვით ჩადიოდა, ამიტომ მისი ყველას სჯეროდა, ყველა ემორჩილებოდა, სანათესაოსა თუ სამეზობლოში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

არ შემიძლია განსაკუთრებულად არ აღვნიშნო ბიძია სევერიანეს ის იშვიათი თვისება, რაც თანამედროებაში თითქმის არავის აღარ შემოგვრჩა, მას თანაბრად უყვარდა საკუთრი თუ ძმისა და დების შვილები, სიძეები, შვილიშვილები. საუბარში ძმებთან თუ დებთან

არასოდეს წამოსცდენია მაგალითად: ჩემი სიძე ან შენი სიძე ...ყოველთვის ხაზს უსვამდა ჩემი, ...ჩემი... ყველა მისი იყო და ყველას ისე გულშემატკივრობდა როგორც ღვიძლ შვილებს (არასოდეს დამავიწყდება, ღრმად მოხუცებული როგორ ამაყობდა სტუმრებთან - ჩემი შორენა უნივერსიტეტში მოეწყო, ჩემი შორენა და არასოდეს დასცდენია მის პირს ჩემი ძმისშვილიო...).

ამ სახლისათვის ბუკნარში დამახასიათებელი იყო არა ბუნებრივობა, კერძოდ აქ თითქმის ყველას (ნებისმიერ სტუმარს) გადახდენია თავს რაღაც ამოუხსნელი და ,,უცნაური" ამბავი, რომელიც აიძულებდა მოწყვეტოდა იმ დროს გამეფებული კომუნისტური რეჟიმის ჩვეულ რიტმს და ჩააფიქრებდა ზებუნებრივ ძალებზე, უფალსა და სულის უკვდავებაზე. მე-**3** თუ მე-**4** კლასელ გოგონას სკოლაში მინერგავდნენ ათეიზმს, სარწმუნეობა სიბნელესთან, გაუნათლებლობასთან და უვიცობასთან იყო გათანაბრებული და ჰოი სასწაულო, ჩამოვიდოდი ბიძაჩემთან არდადეგებზე და ვეწაფებოდი წმინდანების ცხოვრებას, ვკითხულობდი საღმრთო წიგნებს, რომლებიც იქ ბლომად იყო. მესმოდა ბიძისა და ბიცოლას ქადაგებები, ვხედავდი სასწაულებს და ვეზიარებოდი იმ სიწმინდეებს რაც სხვაგან არსად მინახავს... გაოგნებული ვრჩებოდი და ვფიქრობდი: რა ხდება? რომელი უნდა დავიჯერო, სკოლაში ერთს მასწავლიან, აქ კი სხვას ვხედავ.... რა თქმა უნდა ჩემს ბავშვურ გულში ყოველთვის იმარჯვებდა უფალი. მადლობა ამისათვის იესოს, ჩემს მამა სევერიანს, ჩემს გულესერს.

მახსოვს მე-10 კლასში ვესტუმრე, გვერდით დამიჯინა, გამომკითხა როგორ ვცხოვრობდი, რას ვფიქრობდი და როგორ წარმომედგინა ჩემი მომავალი ცხოვრება.... დამარიგა: - ,,არასოდეს შეგეშინდეს, უფალი იქნება ყოველთვის შენთან და ნურასოდეს დაგაბრკოლებს

იმაზე ფიქრი თუ სხვები რას იფიქრებენ შენზე, ჩემი ცხოვრება თუ იცი შენ ყველაფერი? როგორ დამცინოდნენ, როგორ მაშინებდნენ, ბაზრის კიბეებზე დავდგებოდი, იქ სადაც ბევრი ხალხი იყო (სპეციალურად ხალხმრავალ ადგილებს ვეძებდი) და ვყვიროდი - მოინათლეთ ხალხნო, მოინათლეთ სანამ გვიანი არ არის. ვუი! ვუი! ხასანი გაგიჟებულაო გაკიოდა ხალხიო, უშიშროება ცალკე დამსდევდა, მავიწროვებდა და მემუქრებოდა, ღამე ლოცვის დროს, სანთლის შუქი რომ არ დაენახა მეზობლებს, სქელ ადიალებს ჩამოვკიდებდი ფანჯრებზეო, მაგრამ მერე ისევ, საჯაროდ დავიწყებდი ქადაგებასო. შენ ჯერ კიდევ დაბადებული არ იყავი, ბათუმში ტელმანის ქუჩაზე წმინდა ნიკოლოზის ტაძარში უცხო ბიჭები იქეთ აქეთიდან ამომიდგნენ მხრებში და ტაძარში შემიყვანეს, ფეხებს ძირს ვერ ვდგამდი და თითქმის შემასრიელეს, არაადამიანური შიში ვიგრძენი და გაოგნებული ვყვიროდი, დამსვით, სად მიგყავართო.... ისეთი ბრძანებით მითხრეს - ხასან შენ უნდა მოინათლოო, უძლურად გავკივლე ტაძარში მომნათლეთო. მღვდელი ამბიონიდან გამოვიდა და შემხედა, ნათლია სად გყავსო, ოღონდ თავი დამეღწია და ვუპასუხე - აი, ეს ბიჭი მომნათლავს მეთქი ერთ-ერთზე მივუთითე, გაკვირვებული შემომხედა მოძღვარმა და მესანთლეს უთხრა:- რა ჭირს ამას, აქ სხვა კაცს ვის ხედავსო... მიპასუხა: - ბიძაჩემო ნათლია მოიყვანა და ისე მოგნათლავო... თითქოს ცივი წყალი გადამასხეს, გამოვფხიზლდი და უკანმოუხედავად გამოვიქეცი ტაძრიდან. იმ ქუჩაზე შიშით კარგახანია არ გამივლია, გავიდა ხანი... გადამავიწყდა ეს ისტორია და ერთ დღესაც ისევ ჩავიარე წმინდა ნიკოლოზის ტაძართან...ისტორია გამეორდა... ორმა ბრგე ვაჟკაცმა ისევ შემიყვანეს ტაძარში ...ისევ გავკიოდი შიშით მომნათლეთ მომნათლეთო, ისევ იმ მოძღვარმა გამომხედა და მესანთლე ქალს უთხრა, მოვნათლოთ ცოდოა და შენ დაუდექი ნათლიადო... ასე სასწაულებრივად მოვინათლეო.. ნათლობაზე წმინდა გიორგის ხატი მაჩუქა ნათლიამ, ხატი ხელში დავიჭირე და დაბნეული ჩაქვში წავედი... სახლში შევედი, გულესერი შემომეგება და მკითხა:- ხელში რა გაქვსო? მე გონს მოვეგე, შემეშინდა ცოლს არ გაეგო რომ გაუგებარ ვითარებაში მოვინათლე (ჩვენ ხომ ვმუსულმანობდით და ღია ფანჯრიდან ხატი მოვისროლე (შემინდოს მისმა მადლმა) შევეცადე დამევიწყებინა რაც გადამხდა. ამასობაში **6** წვრილშვილიან მამას მარჩენალი ძროხა დამეკარგა, ორი დღე ვეძებეთ მე და გულესერმა ვერსად მივაგენით. მესამე დღეა ჭიშკართან მეზობელი სოფლის მკვიდრი იძახის გულესერ გულესერო, ფანჯრიდან გავიხედე და ამ კაცს ბაწრით ჩემი ძროხა ყავდა თან, მეუღლე გაეგება, მე ოთახში დავრჩი და მესმის მათი საუბარი... გულესერ მაპატიეთ, მაპატიეთ ეს რა მომივიდა ძროხა მე მოვიპარე, განა აქ მოსვლას გავბედავდი? მაგრამ **2** ღამეა ჩემთან თეთრცხენზე ამხედრებული კაცი მოდის, მკერდზე შუბს მაჭერს და მეუბნება ძროხა პატრონს წაუყვანე და მოუბოდიშეო...ეს თქვა და დაუჩოქა...უცებ თითქოს სხივმა შემოიჭრა ჩემს გონებაში, გამახსენდა ხატი, რომელზეც თეთრ ცხენზე ამხედრებული შუბიანი მხედარი იყო აღბეჭდილი, ქურდი სულ გადამავიწყდა. ჩავარდი ბაღჩაში, ხატი მოვძებნე, ჩქარ- ჩქარა გავწმინდე და სახლში შემოვიტანე, კედელზე საპატიო ადგილას ჩამოვკიდე, დაბრუნებულ გულესერს ყველაფერი მოვუყევი. იმ დღიდან შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. ტაძარში სიარული დავიწყე, თავიდან სანამ გავერკვეოდი ყველა ხატი ჩვეულებრივი ადამინების სურათები მეგონა, სხვადასხვა დამსახურების გამო აღბეჭდილი, როცა წმინდა ნიკოლოზის ტაძარს ვეწვიე და მთავარანგელოზების ხატთან სანთლის დასანთებად მივედი, ისევ ის ბრგე ვაჟკაცები დავინახე, მეცნო და მედავითნეებს დავუძახე, ბიჭებო შეხედეთ, შეხედეთ, ეს ის კაცებია მე რომ ტაძარში შემომიყვანეს მეთქი, მათ გაეცინათ - ესენი კაცები კი არა

მთავარანგელოზები არიანო...მოძღვარს დაუძახეს და მე და დაზაფრული თან ბედნიერი ვუყვებოდი ამ ამბავს (ის მოძღვარი დღეს პატრირქია)."

***

გარდაცვალებამდე, რამდენიმე თვით ადრე თიაქრის ოპერაცია გაიკეთა. ერთ ღამეს თავმდგომად დამტოვეს...ძალიან აწუხებდა ტკივილები, იმ დროს საავადმყოფოები კეთილმოუწყობელი იყო. 6 კაციან პალატაში იწვა, შუაღამე დადგა და მე სკამზე ჩამომჯდარი ვთლემდი, თვითონ კვნესოდა... იმდენად დიდი იყო მისი კაცთმოყვარეობა, პირიქით აქეთ შევეცოდე სკამზე მთვლემარე, ძლივს მიიწია და შემომიწექიო...მეც შევუწექი და ღრმა ძილს მივეცი, საცოდავი საწოლში ძალიან შემივიწროვებია, დილით იცინოდა, ორჯელ კინაღამ გადავარდიო...და აზრად არ მოსვლია გავეღვიძებინე ან უხეშად გაეკრა ხელი მიიწიეო...გარდაცვალების წინ სულს როცა აძლევდა, თავთან მისი ქალიშვილი თინა ეჯდა. შვილო, ეს რა ხდება, რამდენი არიან, რამდენი არიან, 10, 20 არა 100... ლეგიონია, რამდენი ბოროტი აკრავს დედამაწასო აღმოხდა, ილოცეთ, ილოცეთო...

ასეთი იყო ჩემი ბიძია სევერიანე და მისი მეუღლე (მეუღლის ღირსი) გულესერი, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში გვერდში ედგა.

სტატიის ავტორი: *თეა ცაგურიშვილი*